ო ქ მ ი N 5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 2024 წლის 25 აპრილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ფრიდონ შონია

4.დიტო ხასია

5.ბადრი რიჟამაძე

6.ჯანსუღ ჯიშკარიანი

7.მოგელი ხუხია

8.გურიელ ქარდავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 23 აპრილის N50-502411430 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილ იქნა სპეციალიზებული ავტომანქანა ამწე კალათა (DONGFENGEQ3186GP6) გამოშვებული 2023 წელს, სახელმწიფო HH 741 LH საიდენტიფიკაციო ნომერი LXP2GE23OPD017217,

+ + +

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) არსებობის ვადით გადაცემა შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8 წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

/კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/